შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგი

პროფესიული მომზადება/პროფესიული გადამზადება
პროგრამების კატალოგი

2026 წელი

აირჩიე პროფესია — შექმენი შენი მომავალი!

- შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგი 2024 წლიდან ახორციელებს პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამებს.
- პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამების ძირითადი მიზანია სამუშაოს მაძიებელთა კონკურენტუნარიანობის ამაღლება, დასაქმების ხელშეწყობა და შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისი, ახალი ცოდნისა და პრაქტიკული უნარების მოკლე დროში შეძენა და/ან განვითარება, რაც ხელს უწყობს მათ შემდგომ დასაქმებას, თვითდასაქმებას და/ან კარიერულ წინსვლას.

პროფესიული პროგრამები

- მომზადება
- გერიატრიული ასისტენტი (Geriatric Assistant)
- შინაური ბინადარი ცხოველების (ძაღლი და კატა) მოვლის მომსახურების სპეციალისტი(A specialist in the care of domestic animals (dogs and cats)
- კალმახის მოშენების სპეციალისტი (Trout Breading Specialist)
- მცენარეთა მავნე ორგანიზმების ინტეგრირებული მართვა (Integrated Pest Management (IPM))

- გადამზადება:
- მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხელოვნური განაყოფიერება
  (Artificial Insemination in Cattle)

პროფესიული მომზადება
გადამზადების პროგრამები

გერიატრიული ასისტენტი
(Geriatric Assistant)

- **კვალიფიკაციის დონე :** 3 - **პროფესიული მომზადება**
- **სფერო:** 091 - ჯანდაცვა
- **პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:** განათლება - საშუალო; მინიმალური ასაკი - 18 წელი;
- **პროგრამის ხანგრძლივობა:** 9 კვირა (152 საათი)
- **პროგრამის მიზანი:** მსმენელმა შეიძინოს გერიატრიული ასაკის პირის მოვლისთვის საჭირო ცოდნა და უნარჩვევები, რაც მოიცავს მოვლას დაავადებისა და ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით. ეფექტურ კომუნიკაციას, მოვლისთვის საჭირო პროცედურების ჩატარებას, კვებას, ჰიგიენის მოწესრიგებას, ჩაცმა/გახდას, საწოლის გამზადებას, საწოლისა და პირადი თეთრეულის გამოცვლას, დახმარებას მოძრაობის დროს; პაციენტის უსაფრთხოებაზე ზრუნვას, მისთვის მოსახერხებელი გარემოს შექმნას, ტრანსპორტირებას, სანიტარულ-ჰიგიენურ და ეპიდემიოლოგიური ნორმების დაცვას.
- **კურსის დასრულების შემდგომ პირი შეიძლება დასაქმდეს:** მომვლელად ხანგრძლივი სამედიცინო მომსახურების დაწესებულებაში (მოხუცთა თავშესაფარი, სათემო ან საოჯახო ტიპის მომსახურება, დღის ცენტრი).
- **პარტნიორები:** საქველმოქმედო ფონდი საქართველოს კარიტასი.



შინაური ბინადარი ცხოველების (ძაღლი და კატა) მოვლის მომსახურების სპეციალისტი
(A specialist in the care of domestic animals (dogs and cats))

- **კვალიფიკაციის დონე** – 3 **პროფესიული მომზადება.**
- **სფერო:** 084 - ვეტერინარია
- **პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:** განათლება - საშუალო; მინიმალური ასაკი - 18 წელი.
- **პროგრამის ხანგრძლივობა:** 12 კვირა (217 საათი).
- **პროგრამის მიზანი:** კურსდამთავრებულმა შეძლოს შინაური ბინადარი ცხოველების ეფექტიანი მოვლა და მათ კეთილდღეობაზე ზრუნვა. კერძოდ მას შეეძლება: კატისა და ძაღლის ანატომია-ფიზიოლოგიის აღწერა, დაავადებების ნიშნების ამოცნობა, ვეტერინარის დანიშნულების მიხედვით კატისა და ძაღლის მკურნალობა და მკურნალობის პროცესის დროს ცხოველის მდგომარეობაზე ვეტერინარისთვის ინფორმაციის მიწოდება, ძაღლისა და კატის თმის შეჭრა, დაბანვა, ფრჩხილების დაჭრა, ძაღლისა და კატის კბილების მოვლა, ძაღლისა და კატის კვება.
- **პარტნიორები**: შპს ვიპ ვეტი; ააიპ მიუსაფარი შინაური ცხოველების მართვის შიდა ქართლის ინტერმუნიციპალური სააგენტო



კალმახის მოშენების სპეციალისტი (Trout Breading Specialist)

- **კვალიფიკაციის დონე** – 3 **პროფესიული მომზადება.**
- **სფერო:** 083 მეთევზეობა
- **პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:** განათლება - საბაზო; მინიმალური ასაკი - 18 წელი.
- **პროგრამის ხანგრძლივობა:** 15 კვირა (120 საათი).
- **პროგრამის მიზანი:** მოამზადოს შესაბამისი კომპეტენციის მქონე კადრი, რომელიც შეძლებს საკალმახე მეურნეობის ფუნქციონირების პრინციპებისა და კალმახის გუნდის საერთო ჯანმრთელობის უზრუნველყოფის წესების აღწერას, გარემოსა და ვეტერინარულ-სანიტარული ნორმების დაცვით კალმახის გამოზრდას და კვებას, საკალმახე გუნდის საერთო ჯანმრთელობის მდგომარეობაზე დაკვირვებასა და შეფასებას, ასევე ქვირითის და სხვადასხვა ასაკობრივ სტადიაში მყოფი კალმახის მომზადებას ტრანსპორტირებისთვის.
- **პარტნიორები:** შპს ბიო მარი; შპს დგვრისი.



მცენარეთა მავნე ორგანიზმების ინტეგრირებული მართვა (Integrated Pest Management (IPM)

- **კვალიფიკაციის დონე:** 4 – **პროფესიული მომზადება.**
- **სფერო:** 081 - სოფლის მეურნეობა
- **პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:** განათლება - საშუალო; მინიმალური ასაკი - 18 წელი.
- **პროგრამის ხანგრძლივობა:** 11 კვირა (180 საათი).
- **პროგრამის მიზანი:** მცენარეთა დაცვის სფეროში კვალიფიციური სპეციალისტების მომზადება, რომელიც შეძლებს მცენარეთა მავნებლების, დაავადებებისა და სარეველების ამოცნობასა და დახასიათებას, მავნებელთა ინტეგრირებული მართვის პროცესში მიღებული გადაწყვეტილებების მიღებას, მავნებელთა კონტროლის განხორციელებისას მოქმედი სამართლებრივი ნორმებისა და პრინციპების გამოყენებას, მავნებელთა ინტეგრირებული მართვის (IPM) პროგრამების პრაქტიკულ განხორციელებას.
- **პარტნიორები:** ი/მ ედვარდ შერმადინი; ი/მ ლევან რაზმაძე.

მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხელოვნური განაყოფიერება (Artificial Insemination in Cattle)

- **კვალიფიკაციის დონე** : 5 - **პროფესიული გადამზადება**
- **სფერო:** 084 - ვეტერინარია
- **პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:** წინარე ცოდნა - პროფესიული განათლება ვეტერინარიაში (მინიმუმ მე-3 დონე); მინიმალური ასაკი - 18 წელი.
- **პროგრამის ხანგრძლივობა:** 9 კვირა (146 საათი).
- **პროგრამის მიზანი:** მსმენელმა შეიძინოს შრომის ბაზრის მოთხოვნის შესაბამისი ცოდნა და უნარები, რაც მოიცავს: იარაღებისა და აღჭურვილობების დეკონტამინაციის, დეზინფექცია-სტერილიზაციის პროცესის და უსაფრთხო ინექციის წარმართვის უზრუნველყოფას, ცხოველთა ანატომიურ და ფიზიოლოგიურ თავისებურებებს, ვეტერინარული მეანობის პროცესისა და სამეანო ღონისძიებების წარმართვას, ხელოვნური განაყოფიერების მეთოდებს და პროცესის განხორციელების პროცედურებს სტანდარტული უსაფრთხოების ზომებისა და პირადი ჰიგიენის წესების დაცვით.
- მსმენელები პროგრამის დასრულების შემდეგ შეძლებენ დასაქმებას და კარიერულ წინსვლას შეძენილი კომპეტენციების გამოყენებით.
- **პარტნიორები:** ფ/პ გივი აბალაკი; ააიპ შიდა ქართლის ვეტერინართა რეგიონული ასოციაცია.



დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით:

მისამართი: ქ. გორი, ცხინვალის გზ. N9

0(370)27 05 57

+99599 766 711

info@amagi.edu.ge

www.amagi.edu.ge